საინფორმაციო ბიულეტენი | ივნისი

მონაწილეობა მაღალი დონის ინტერმინისტერიალურ-დიალოგში

საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა მაღალი დონის დისკუსიაში ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების მავნე პრაქტიკისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხზე, რომელიც UNFPA-ს და საქართველოს მთავრობის პარტნიორობით გაიმართა.

ონლაინ შეხვედრა 2021 წელს CSW-ს ფარგლებში გამართული მაღალი დონის ღონისძიების გაგრძელებაა, სადაც მიღებული იქნა დეკლარაცია, რომლის მხარდამჭერ ქვეყნებს შორის საქართველოცაა. მასში მონაწილეობა მიღეს მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან.

კონკურსი გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის

1 ივნისს, გენდერული თანასწორობის საბჭომ გამოაცხადა კონკურსი გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილის აღიარების მიზნით.

აღნიშნული ინიციატივით საბჭო აღიარებს იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ქალთა გაძლიერებას, გენდერული თანასწორობის დამკვიდრებასა და გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის თვითშეფასების ანგარიში

2022 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ EIGE-ს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით პარლამენტის გენდერული მგრძნობელობა გაზომა - გამოითვალა ინდექსი და გამოაქვეყნა შესაბამისი ანგარიში, რომლის მიხედვითაც მეათე მოწვევის საქართველოს პარლამენტის გენდერული მგრძნობელობა შეფასდა 61.78/100 ქულით.

აღსანიშნავია, რომ შეფასების მეთოდოლოგია შემუშავდა UNDP-ს მხარდაჭერით.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საბჭომ მონაწილეობა მიიღო 6 ივნისს გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიმართულებით არსებული მიღწევების, გამოწვევებისა და სამომავლო ღონისძიებების განხილვას.

შეხვედრა გაიმართა ,,თანასწორობის მოძრაობის“ ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

ივნისის თვეში საბჭომ გაავრცელა ერთი განცხადება

6 ივნისის განცხადებით საბჭო გამოეხმაურა და დაგმო პოლიტიკოსის, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის, ხათუნა სამნიძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტი; გამოუცხადა მას სოლიდარობა და გამოკვეთა უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნის აუცილებლობა.

საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

საბჭო დაესწრო ფოტო-გამოფენას: „უთხარით შვილებს"

10 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები დაესწრნენ ფოტო-გამოფენას „უთხარით შვილებს", რომელიც გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA) ინიციატივითა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მოეწყო.

სასწავლო ვიზიტი სტამბოლის კონვენციის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით

სტამბოლის კონვენციის შესაბამისი სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობისა და კარგი პრაქტიკის გაზიარების მიზნით სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით შვედეთში სასწავლო ვიზიტი გაიმართა.

სასწავლო ვიზიტი ორგანიზებული გახლდათ ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში" პროექტის მხარდაჭერით.

შეხვედრა უკრაინული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

16 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები უკრაინული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მხარეებმა ისაუბრეს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომზე, საქართველოსა და უკრაინას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე და თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრის ფარგლებში საბჭომ კიდევ ერთხელ მკაცრად დაგმო როგორც რუსეთის სამხედრო ინტერვენციას უკრაინის, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს, ტერიტორიაზე, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის, ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულები.

სამუშაო შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან

9 ივნისს გაეროს განვითარების პროგრამისა(UNDP) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით საბჭო თბილისის გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, ხოლო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს თავიანთი წარმატებული გამოცდილების შესახებ, ამასთან მხარეებმა იმსჯელეს თბილისში არსებულ გამოწვევებზე და თანამშრომლობის სამომავლო ფორმატებზე.

საბჭომ გრეის ჰოპერის სახელობის კონკურსის ერთ-ერთი კატეგორიაში გამარჯვებული დააჯილდოვა

საბჭო შეუერთდა გრეის ჰოპერის დაჯილდოების ქალების გაძლიერების პროგრამის ნომინაციას და 10 ივნისს გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე დააჯილდოვა პროექტი „ჩართე", რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქალებისა და გოგოების ტექნოლოგიებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

გრეის ჰოპერის დაჯილდოების ცერემონია 2021 წელს USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ინიციატივით, თიბისისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით შეიქმნა და წელს მისი მხარდამჭერები ჩვენს საბჭოსთან ერთად, არიან ისეთი კომპანიები, როგორიცაა Visa, UTG, Majorel Georgia და სხვა.

საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

საბჭო კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებს შეხვდა

18 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭო ,,ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება" რეზოლუციის ფარგლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებს სოფელ ერგნეთში შევხვდა.
ვიზიტის ფარგლებში საბჭოს წევრებმა მოინახულეს სოფელი შავშები, დევნილთა დასახლების საბავშვო ბაღი და ქალთა სამკერვალო, აგრეთვე ოკუპაციის მუზეუმი და გორში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გაცნობის მიზნით შეხვდნენ თემის წარმომადგენელ ქალებს.

20 ივნისს საბჭოს სხდომა ჩატარდა

მიმდინარე წლის 20 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა ჩატარდა.
სხდომის ფარგლებში დონორი ორგანიზაციების UNDP-სა და NDI-ს მხარდაჭერით დაინიცირდა თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურაზე (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ. მოკვლევის მიზანია საქართველოს რეგიონებში აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზების, გამოწვევებისა და პრობლემების შესწავლა, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ამრიგად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

27 ივნისს UNJP-ს მმართველი საბჭოს შეხვედრა გაიმართა

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო UNJP-ს მმართველი საბჭოს სამუშაო შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც გაიმართა გაეროს ერთობლივი პროგრამის ,,გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ მესამე ფაზის ონლაინ პრეზენტაცია, სადაც განხილულ იქნა აღნიშნული პროგრამის სამოქმედო გეგმა და ძირითადი მიმართულებები.

შეხვედრა ირლანდიის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის დელეგაციის წევრებთან

23 ივნისს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი და საბჭოს წევრები საქართველოში ვიზიტით მყოფ ირლანდიის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ.
სტუმრები დაინტერესდნენ გენდერული თანასწორობის საკითხებით საქართველოში, ამასთან მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.

მაღალი დონის შეხვედრა კარინ ჯამტინთან

28 ივნისს, გენდერზე დაფუძნებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს(სიდა) გენერალურ დირექტორთან მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც პარლამენტის წარმომადგენლები, აგრეთვე გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, შვედეთის ელჩი, პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, შესაბამისი სამინისტროებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სომხეთის დელეგაციის შეხვედრა საბჭოსთან სტამბულის კონვენციის საკითხებზე

28 ივნისს საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა და ამავე საბჭოს წევრმა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სარჯველაძემ სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა გამართეს.
შეხვედრაში აგრეთვე მონაწილეობდნენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები.